აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისია

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 7

29 დეკემბერი 2010 წელი ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრის მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი პუნქტის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „შ“ ქვეპუნქტის და მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრის მოწმობის ფორმა თანდართული ნიმუშის მიხედვით.

(უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრის მოწმობის ფორმა შეიცავს შემდეგ რეკვიზიტებს: მოწმობა არის მართკუთხა ფორმის პლასტიკური ბარათის ტიპის 8,5X5,4 სმ. მოწმობის ფორმის წინა გვერდი არის იასამნისფერი და შედგენილია სახელმწიფო ენაზე, წინა გვერდზე, მოწმობის ფორმის ზედა მარცხენა ნაწილში გამოსახულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბი, რომლის მარცხენა მხარეს (დამკვირვებლის პოზიციიდან, რომელიც დგას ამ გერბის პირდაპირ) გამოსახულია საქართველოს სახელმწიფო მცირე გერბი, მოწმობის წინა გვერდზე ასევე მითითებულია მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება, მოწმობის ნომერი, თანამდებობის პირის სახელი, გვარი და თანამდებობა, ხელმძღვანელი პირის ხელმოწერა და მოქმედების ვადა. მოწმობის ფორმის უკანა მხარე არის თეთრი ფერის, შედგენილია ინგლისურ ენაზე და სრული სახით გამოსახულია საქართველოს სახელმწიფო დროშა, მოწმობის უკანა მხარეს ასევე მითითებულია მოწმობის გამცემი ორგანოს

დასახელება, მოწმობის ნომერი, თანამდებობის პირის სახელი, გვარი, თანამდებობა და მოწმობის მოქმედების ვადა).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 13 ივლისის №5 განკარგულება.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ № 30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

4. განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე ა. მიქელაძე

კომისიის მდივანი ქ. ჯიქია